სსიპ „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის

ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა“

სატენდერო დოკუმენტაცია

სსიპ „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის“

ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო

სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა

CPV 45232400

1. შესყიდვის ობიექტი

1.1 სსიპ „ქალაქ ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის“ ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების (შემდგომში - სამუშაო) სახელმწიფო შესყიდვა სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №4-ისა (პროექტი) და დანართი №5-ის (დეფექტური აქტი) შესაბამისად.

2. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი - არ გამოიყენება:

3. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

3.1. მიმწოდებელმა სამუშაოების შესრულება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2. სამუშაოების მიღება განხორციელდება 3.3 პუნქტით გათვალისწინებულ ობიექტზე სატენდერო დოკუმენტაციის დანართი #5-ით (დეფექტური აქტი) გათვალისწინებული სამუშაოების სრულად განხორციელების შემდეგ.

3.2.1 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესრულებულ სამუშაოებზე „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება მოხდება მას შემდეგ, რაც მიმწოდებელი წარმოადგენს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემულ დადებით დასკვნას (აკრედიტირებული პირის შემთხვევაში, დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), რომლითაც დადგენილი იქნება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა #2) შესაბამისობა ფაქტიურად (ადგილზე) შესრულებული სამუშაოების მოცულობებთან (აღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს).

3.3. სამუშაო უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, II მ/რ (სსიპ ქალაქ ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა);

4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება, პრეტენდენტის წინადადების ფასი და ანგარიშსწორების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 11 443.00 ლარი, დღგ-ს ჩათვლით;

4.2 შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) წინადადების ფასი დაფიქსირებულ უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.3 წინადადების ფასად განიხილება სისტემის მეშვეობით შესყიდვის ელექტრონული ტენდერის შესაბამის ველში დაფიქსირებული ფასი;

4.4 პრეტენდენტი, რომელიც არ არის დღგ-ს გადამხდელი, ელექტრონულ ვაჭრობაში შესყიდვის ობიექტის ღირებულება უნდა დააფიქსიროს და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს დღგ-ს გათვალისწინებით, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების შესაებ ხელშეკრულების გაფორმებისას, აღნიშნული გადასახადი (18%) დააკლდება მის მიერ დაფიქსირებულ სატენდერო წინადადების საბოლოო ღირებულებას

4.5 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა), პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება (პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტირებული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

- იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ან წარმოდგენილი დასაბუთება შემსყიდველის მიერ არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია;

- პრეტენდენტის მიერ წარდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დაზუსტებას არ ექვემდებარება.

4.6 ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

4.7 პრეტენდენტის მიერ მექანიკური შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორიცაა არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, შემსყიდველის მიერ ფასის განსაზღვრა შესაძლებელია ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ აღემატება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ ფასს;

4.8 შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტის ორივე მხარის მიერ ხელმოწერის შემდეგ.

4.9 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება სამუშაოების სრულად შესრულების შემდგომ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტის _ ფორმა №2, მიღება-ჩაბარების აქტის (ორმხრივად ხელმოწერილი), ექსპერტიზის დადებითი დასკვნისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ინვოისი) წარმოდგენიდან არაუვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია - არ გამოიყენება

6. ზოგადი პირობები

6.1 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

6.2 ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა);

6.3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში (დანართი #3), რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაძლებელია დაზუსტდეს სატენდერო წინადადების შესაბამისად;

6.4 დოკუმენტაციაში განსაზღვრულ შესასყიდ ობიექტზე, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი," „ანალოგი" ან „ეკვივალენტური";

6.5 სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ყველა დოკუმენტ(ებ)ი წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე; დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი;

6.5 ტენდერში ამხანაგობის მონაწილეობის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია იმოქმედოს „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" 101 მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით."

7. ინფორმაცია პრეტენდენტებისათვის

7.1 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ელექტრონული სისტემის კითხვა/პასუხის მოდულის მეშვეობით, პრეტენდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, განახორციელოს სატენდერო განცხადებასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შესაბამისი დაზუსტება/განმარტება;

7.2 შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის ნებისმიერი მიმოწერა/შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/შეტყობინება სავალდებულო არ არის. მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან;

7.3 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, II მ/რ (სსიპ ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა); საკონტაქტო პირი: ნანა ლაბაძე, ტელ: +995 577-33-20-38.

8. მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ

8.1 პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს საკანალიზაციო სისტემის მოწყობის/რეაბილიტაციის განხორციელების გამოცდილება;

9. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი ტექნიკური დოკუმენტაცია/ინფორმაცია

9.1 პრეტენდენტის რეკვიზიტები, დანართი №1-ის შესაბამისად;

9.2 საგარანტიო პირობები და ვადები, სამუშაოს განხორციელების ვადა; დანართი №2-ის შესაბამისად;

9.3 ხარჯთაღრიცხვა დანართი №5 - დეფექტური აქტის შესაბამისად;

9.4 გამოცდილების დამადასტურებელი ხელშეკრულება/ხელშეკრულებები და ამავე ხელშეკრულებ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი, ან/და ამ დოკუმენტაციის სანახავად მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის NAT/CMR/SPA ნომრებზე (პუნქტი 8.1).

დანართი №1 - რეკვიზიტების ფორმა

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

ხელმოწერა, ბეჭედი ----------

დანართი №2 - საგარანტიო პირობები და ვადები; სამუშაოების განხორციელების ვადა

1	2	3
სამუშაოს დასახელება	**ჩვენს მიერ შესრულებულ სამუშაოებზე გავრცელდება**	**სამუშაოს განხორციელების ვადა**
სსიპ „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის“ ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები	---------- წლიანი გარანტია.	------- კალენადრული დღე

შენიშვნა:

1. სსიპ „ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის“ ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების **საგარანტიო ვადა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ** 20 **(ოცი) წელი.**
2. მიმწოდებელმა ზემოხსენებული ვადების დაცვით უნდა გაავრცელოს გარანტია, რომ მის მიერ შესრულებულ სამუშაოებს და გამოყენებულ მასალას არ ექნება დეფექტი ექსპლუატაციის ნორმების დაცვის პირობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით განახორციელოს გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა;
3. სამუშაოების შესრულების ვადა მითითებულ უნა იქნას წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის 3.1 პუნქტის შესაბამისად;
4. მიმწოდებელი ავსებს №2 და №3 გრაფას.

ხელმოწერა, ბეჭედი ----------

დანართი № 3 - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფორმა და პირობები შესაძლებელია დაზუსტდეს ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე)

ქ. თბილისი **-------- 201- წ.**

ერთის მხრივ, სსიპ „ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლის“ (შემდგომში – „შემსყიდველი“), წარმოდგენილი დირექტორის ნანა ლაბაძის სახით,

და მეორეს მხრივ, ---------- (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი ---------- სახით,

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ 2016 წლის --------- შემსყიდველის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „-” ქვეპუნქტის შესაბამისად გამოცხადებულ ტენდერში -------- გამარჯვებულად გამოცხადდა ---------- ფასით ---------- ლარი დღგ-ს ---------, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია დანართი N-- -ით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება.
(CPV ----------; შემდეგში - „სამუშაო“)

1.2. შესასრულებელი „სამუშაოს“ ჩამონათვალი, მახასიათებლები, პირობები, საგარანტიო პირობები და ფასი მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №---ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. “შემსყიდველი” უფლებამოსილია მოსთხოვოს “მიმწოდებელს” ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.2. “შემსყიდველი” ვალდებულია, უზრუნველყოს შესაბამისი ანგარიშსწორება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და ოდენობით;

2.3. “მიმწოდებელი” უფლებამოსილია, მოსთხოვოს “შემსყიდველს” ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

2.4. “მიმწოდებელი” ვალდებულია, კეთილსინდისიერად, ხარისხიანად და დროულად შეასრულოს მასზე ამ ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობები;

3. „სამუშაოს“ შესრულების წესი, მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ”მიმწოდებელმა” უნდა უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან -- კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის შესრულებულ სამუშაოებზე „მიღება-ჩაბარების“ აქტის გაფორმება მოხდება მიმწოდებელის მიერ შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი აქტის _ ფორმა №2 შემსყიდველთან წარმოდგენიდან -- (----) სამუშაო დღის ვადაში;

3.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მაქსიმალური სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს _____ ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის ----------. შემსყიდველი ანგარიშსწორებას მოახდენს სამუშაოების სრულად შესრულების შემდგომ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტის _ ფორმა №2, მიღება-ჩაბარების აქტის (ორმხრივად ხელმოწერილი) და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან არაუვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულების _____ ლარზე გადაჭარბების შემთხვევაში, მიმწოდებელს არ წარმოეშობა შემსყიდველის მიმართ დამატებითი ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, შესაბამისად აღნიშნულ შემთხვევაში შემსყიდველი ანგარიშსწორებას უზრუნველყოფს მხოლოდ ხელშეკრულების მაქსიმალური ჯამური სავარაუდო ღირებულებით.

3.4. ანგარიშსწორების განსახორციელებლად “მიმწოდებელმა” სამუშაოების სრული მოცულობით დასრულების შემდეგ უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) შესრულებული სამუშაოების აქტი ფორმა #2;

ბ) მიღება-ჩაბარების აქტი (ორმხივად ხელმოწერილი);

გ) საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) ექსპერტიზის დადებითი დასკვნა;

3.5. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან” წარმოეს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, მიმწოდებლის მიერ 3.4. პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. „სამუშაოს“ ხარისხი

4.1. ,,მიმწოდებელი” იღებს ვალდებულებას, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ,,შემსყიდველის” მოთხოვნებს წინამდებარე ხელშეკრულების N-და N- დანართებით გათვალისწინებულ ფარგლებში;

4.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

5. გარანტია, პასუხისმგებლობა და ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა -- წლიან გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული ,,სამუშაო” შეესაბამება ხელშეკრულების 1.2 და მე-4 მუხლებში მითითებულ კრიტერიუმებს.

5.1.1. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული 5.1. მუხლში მითითებული კრიტერიუმების შესაბამისი მომსახურების გაწევას შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 5% (მაგრამ არანაკლებ 200 ლარის) ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა, რაც მიმწოდებელმა, შემსყიდველისაგან პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს სამი სამუშაო დღისა უნდა გადაიხადოს.

5.2. მხარეების მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და/ან დარღვევა გამოიწვეს მათ პასუხისმგებლობას წინამდებარე ხელშეკრულებისა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5.3. არასათანადო „სამუშაოს“ შესრულების შედეგად ,,შემსყიდველისთვის”, ან მესამე მხარისათვის მიყენებული ნებისმიერი ზიანის ანაზღაურება ეკისრება “მიმწოდებელს”.

5.4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

5.5. „სამუშაოს“ შესრულების დაყოვნების შემთხვევაში “მიმწოდებელი” ვალდებულია გადაუხადოს ,,შემსყიდველს” პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ კალენდარულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით. შემსყიდველი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

5.6. ,,შემსყიდველის” მიერ ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ უფლება აქვს დააკისროს ,,შემსყიდველს” პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით.

5.7. “მიმწოდებლის” მიერ პირგასამტეხლოს გადახდა, სამოქლაქო კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, არ ათავისუფლებს მას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების მოვალეობისაგან.

5.8. მიმწოდებლის მიერ ხელშერულების შეწყვეტის/სამუშაოების შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება

6.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ვალდებულებათა სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, სახელმწიფო გადატრიალება და სხვა გარემოებები, რომლებიც არ არიან დამოკიდებული მხარეებზე და ითვლებიან ფორს მაჟორულ გარემოებებად).

6.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

6.3. წერილობით შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებული უნდა იქნას კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საზოგადოდ.

6.4. მხარეები ანახლებენ თავიანთი ვალდებულებების განხორციელებას ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. “შემსყიდველს” ან მის მიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს განახორციელონ „სამუშაოს“ კონტროლი და/ან შეამოწმონ, სრულად არის თუ არა შესრულებული „სამუშაო;“

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1. ხელშეკრულების მონაწილე არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

8.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგად შემსყიდველისათვის იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.2.1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

8.4. ხელშეკრულებაში შეტანილი ყველა ცვლილება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ---------- ჩათვლით.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

10.2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ:

ა. რომელიმე მხარემ მთლიანად ან ნაწილობრივ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობა და არ/ვერ აღმოფხვრა აღნიშნული დარღვევა იმ ვადაში, რა ვადაც მითითებული იყო მეორე მხარის მიერ დარღვევის აღმოფხვრის შესახებ გაგზავნილ წერილობით მოთხოვნაში.

ბ. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე სისტემატიურად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს;

გ. სსკ 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

დ. თუ მიმწოდებელი სამუშაოს ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.

ე. მიმწოდებელი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ვერ გაუგრძელებს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას მოქმედების ვადას.

10.3 შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

10.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე. ხელშეკრულება წყვეტს მოქმედებას შემსყიდველის მიერ გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებული ვადის შესაბამისად.

11. დავების გადაწყვეტა, მარეგულირებელი სამართალი

11.1 მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკების გზით.

11.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ყველა სადავო საკითხი წყდება საქართველოს სასამართლოში.

11.3 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული მუხლის და/ან პუნქტის ბათილობა ან ძალადაკარგულად ცნობა არ ახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი დანართების ნამდვილობაზე.

12.3. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ ქალაქ თბილისის №178 საჯარო სკოლა მის: ვარკეთილი 3, II მიკრო რაიონი ტელ: 5 77 33 20 38 ელ ფოსტა: tbilisi178@mes.gov.ge ს/ს ,,საქართველოს ბანკი“ ს/კ 206031916 ა/ა GE11BG0000000119699000G ბანკის კოდი BBAGAGE22 დირექტორი ნანა ლაბაძე	

დანართი №4

სპეციფიკაცია				
ბარე კანალიზაცია				
1	2	3	4	5
№	დასახელება	ზომა მმ	მართ. ბანზ.	რ-ბა
1	მიწის ოხრა ექსკავატორით	——	მ³	105.0
2	მიწის ოხრა ხელით	——	"	15.0
3	მიწის უკუ ჩაყრა გულდუზერით	——	"	101.5
4	მიწის უკუ ჩაყრა ხელით	——	"	10.0
5	ჭარბიწატი მიწის გატანა	——	"	8.5
6	ასფალტის ფენილის აჩრა და აღდგენა		მ²	105.0
7	ქვიშის მომზადება მილებს ქვეშ	δ=0.10	მ³	4.7
8	პლასტმასის პოლიპროპილენის კანალიზაციის მილი	d=200	გ.მ.	95.0
9	№1 და №2 არს. ჭების დემონტაჟი	d=1000	ც	2
10	ანაკრები რ/ბ კანალიზაციის ჭა ოპასახურით	d=1000	ც	3
11	არსებული კანალიზაციის ამორტიზირებული მილების დემონტაჟი		გ.მ.	90.0
12	არს. კანალიზაციის ქსელში შეჭრა	d=200	ადგ.	1

	პროექტის შემადგენლობა	
1	2	3
№	დასახელება	ფურც. №
1	თავფურცელი. საერთო განმარტება, პროექტის შემადგენლობა და სპეციფიკაცია	ვკ-1
2	გენგეგმა გარე კანალიზაციის დატანით	ვკ-2
3	გარე კანალიზაციის გრძივი პროფილი	ვკ-3

განმარტება

წინამდებარე პროექტი წარმოადგენს ქ. თბილისში ისანი-სამგორის რაიონში ვარკეთილი 3. II მ/რ-ში მდებარე №178-ე საჯარო სკოლის გარე კანალიზაციის რეაბილიტაციის პროექტს. ტრანშეის გათხრისა დამწყობრიდან გამოსული მილსადენის დემონტაჟის შემდეგ, ახალი მილსადენის ჩალაგებამდე მოხდება ქვიშის მომზადება მილებს ქვეშ. აბრეთვე გათვალისწინებულია პირველი სამი ჭის შეცვლა ახალი ანაკრები რკ/ბეტ. კანალიზაციის ჭებით. №4 კანალიზაციის ჭა ექვემდებარება გაწმენდას ნარჩენებისაგან

პირობითი აღნიშვნები

არსებული კანალიზაციის ჭა


კ არსებული კანალიზაციის მილსადენი

№2 საპროექტო კანალიზაციის ჭა და მისი რიგითი ნომერი

საპროექტო კანალიზაციის მილსადენი


გენგეგმა კანალიზაციის დატანით

მ-ბი 1:1000



კანალიზაციის გრძივი პროფილი

მ-ბი ჰ.1:1000
ვ.1:100



შენიშვნა

საერთო განმარტება, პროექტის შემადგენლობა, პირობითი აღნიშვნები და სპეციფიკაცია იხილე შურცელი №წკ-1